

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“



*გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სს
„საქართველო ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ –სთვის ოფისის
მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
CPV 79500000*

CPV 79530000 მთარგმნელობითი მომსახურება.

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი

იანვარი 2016 წელი

სატენდერო დოკუმენტაცია
სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-სთვის მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვა

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1 კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.1.2 საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.1.3 ფიზიკური პირებისათვის:

- ა). ცნობა საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

1.2 სატენდერო დოკუმენტაციის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის წინადადებების მიღების დაწყების თარიღს;

1.3 ამ პუნქტის 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.

1.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ასლების) წარმოდგენა „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის მეშვეობით. „შემსყიდველ“ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს „პრეტენდენტს“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა, მომსახურების გაწევის ვადა, პირობები და ადგილი

1.1 სათარგმნი ტექსტის სავარაუდო მოცულობა წლის განმავლობაში ჯამურად როგორც ქართულ-ინგლისური, ისე ინგლისურ-ქართული შეადგენს 2000 გვერდს (A4 word-ის ფორმატი).

1.2 ერთ სტანდარტულ გვერდად ჩაითვლება არანაკლებ 1800 ნახეჭდი სიმბოლო (სიტყვებს შორის არსებული მანძილის გარეშე) ამსახველი გვერდი. თარგმნილი ტექსტი წარმოდგენილ უნდა იყოს შემდეგი სტანდარტების გათვალისწინებით: Sylfaen, შრიფტი ზომით 12, ინტერვალი 1.5, მინდორი 2 სმ.

1.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი იტოვებს უფლებას სრულად არ შეისყიდოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სათარგმნი გვერდების რაოდენობა, ანუ შეისყიდოს ნაკლები და მას ამით არანაირი ვალდებულება არ დაეკისრება.

1.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ნათარგმნი ტექსტის დამუშავება: დედანის შესაბამისი სურათების, ნახატების, ცხრილების, სქემებისა და დიაგრამების ტექსტში ჩასმა.

1.5 მომსახურების გაწევა მოხდება შემსყიდველის მხრიდან ელექტრონული მოთხოვნის დაგზავნით შემდეგი პირობებით:

a. თუ მოთხოვნილი იქნება 20 (ოცი) გვერდამდე ტექსტის თარგმნა, მაშინ მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის გაგზავნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

b. თუ მოთხოვნილი იქნება 50 (ორმოცდაათი) გვერდამდე თარგმნა, მაშინ მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

c. თუ მოთხოვნილი იქნება 50 (ორმოცდაათი) გვერდზე მეტი, მაშინ ნათარგმნის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის და მიმწოდებლის

ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, მაგრამ ვადა წარმოდგენილი უნდა

იყოს გონივრულ ფარგლებში.

1.6 მიმწოდებლისათვის სათარგმნი მასალის მიწოდებას განახორციელებს სს

“საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს შესყიდვების მენეჯერს სოფიო გეგეშიძეს ელ.ფოსტა: s.gegeshidze@gedf.com.ge

1.7 მიმწოდებელი ვალდებულია ცალკეულ ეტაპზე მომსახურების დასრულების

შემდეგ შესრულებული თარგმანის ტექსტი წარუდგინოს შემსყიდველის

წარმომადგენელს .

1.8 შესრულებული თარგმანი მიღებულად ჩაითვლება ტექნიკური თუ იურიდიული

დეპარტამენტის კვალიფიციური წარმომადგენლის შეფასების შემდეგ.

1.9 მთარგმნელობითი მომსახურების მიწოდების ვადა იქნება ეტაპობრივად, შესაბამისი

მოთხოვნის გაგზავნიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.10 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გასაწევი მომსახურების

ვადის შესახებ.

მომსახურების შესრულების ვადა .

მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე №

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მომსახურების შესყიდვის პროექტს, საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

მომსახურების ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

_____ იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა კობახიძის სახით

და

მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები;

მხარეები ვმოქმედებთ რა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან **მომსახურების** (CPV) (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.2 მომსახურების **დასახელება, მახასიათებლები, ვადები და ღირებულება** ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.3 გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს მომსახურების ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1 მიმწოდებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.
- 2.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.
- 2.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2016 წლის _____-დან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით _____.

3.2 ყოველთვიურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

3.3 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი #1**-ით გათვალისწინებულ ფარგლებში.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს. აღნიშნული ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, რომელიც უკავშირდება მომსახურების გაწევას, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5.2 ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მიღება-ჩაბარების აქტი; ბ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს 5.2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს _____ სამუშაო დღისა აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

6.2 თუ მიმწოდებელი 6.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ვერ/არ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს შემსყიდველისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ორი კალენდარული დღისა.

6.3 მხარეები მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. არაჯეროვანი მომსახურების გაწევის შედეგად შემსყიდველისათვის ან/და მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4 მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5 მომსახურების გაწევის დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე 0.1%-ის

ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

- 6.6 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე 0.1%-ის ოდენობით.
- 6.7 მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

- 7.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
- 7.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
- 7.3 წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
- 7.4 მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 8.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონსტროლს შემსყიდველის მხრიდან ანხორციელებს შესყიდვების მენეჯერი – სოფიო გეგეშიძე, რომელიც წარმოადგენს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 9.1 ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 9.2 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.2.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
- 9.4 ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

- 10.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს: მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. დავათა გადაწყვეტა

- 11.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 11.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის: თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

- 12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
- 12.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.
- 12.3 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 12.4 ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

მომსახურების დასახელება	გვერდების რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ვადა
თარგმნა ქართულ-ინგლისურ და ინგლისურ-ქართულ ენებზე	2000			ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შენიშვნა:

- ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ავანსი არ განიხილება.
- შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას სრულად არ შეისყიდოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურება, ანუ შეისყიდოს ნაკლები ოდენობით და ამით მას არანაირი ვალდებულება არ დაეკისრება.
- იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ოფისის ტელეფონი	
მობილურის ნომერი	
ელ.ფოსტა	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი	
ანგარიშის ნომერი	

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციები:

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- შევსებული ფასების ცხრილი (დანართი №1) და მომსახურების გაწევის ვადები.
- თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციის განსაზღვრულ ტექნიკურ პირობაზე (არსებული ტექნიკური პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის).
- რეკვიზიტები დანართი N2 -ის მიხედვით.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ დაიშვება.

საკონტაქტო ინფორმაცია

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ინფორმაციისათვის და განმარტებებისათვის შეგიძლიათ სატენდერო კომისიის აპარატის მდივანს, სოფიო გეგეშიძე, ტელ: 2 18 11 31, ელ. ფოსტა: s.gegeshidze@gedf.com.ge